



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080195572370019

№ 3393

09 / აგვისტო / 2019 წ.

**შპს „ბი-ემ-სის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 26 ივლისს წარმოდგენილ იქნა შპს „ბი-ემ-სის“ (ს/ნ: 405137230) 2019 წლის 26 ივლისის №19/07-26/01 მომართვა (რეგისტრაციის №8148), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. შპს „ბი-ემ-სიმ“ 2019 წლის 30 ივლისს წარმოადგინა 2019 წლის 30 ივლისის № 19/07-30/05 დაბუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 8268), რომლითაც გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 30 ივლისის №2982 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაბუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ ისინი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „ბი-ემ-სი“ (ს/ნ: 405137230) 2019 წლის 12 აგვისტოს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე